International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/YPXC6975

The Impact of Sectoral Policy on International Relations (The Case of Georgia)

Sophio Gabelaia [a1]

[a] Doctor of International Relations,
Ministry of environmental protection and agriculture, LEPL Agency of Mineral Resources,
International Relation and Project Management Unit

ARTICLE INFO

Keywords:

Strategy
National interests
International cooperation
Georgia
Qatar

ABSTRACT

Sectoral policy can be understood as a form of state governance and institutional functioning through which national interests are pursued by implementing strategies designed for specific sectors of the economy or public administration. The development and implementation of sectoral policies are actively promoted by states as a means of addressing the challenges of global competition. In this context, sectoral policy contributes to the modernization of the economy, including the development of industry, the adoption of advanced technologies, the improvement of public services, and the expansion of employment opportunities.

Given the complex nature of international relations, their integration into sectoral policy is relatively straightforward. Security, economy, law, environmental protection, education, ecology, religion, and culture represent only a partial list of the sectors in which any state has the opportunity to take into account international standards, practices, experience, and emerging needs during the process of planning and implementing sectoral policies.

Furthermore, states can deepen cooperative relationships at the sectoral level and adapt their governance models to established best practices.

Considering that the primary objective of the study is to demonstrate the impact of sectoral policy on a country's international relations, a qualitative research method was employed in order to provide comprehensive answers to the main research questions and to ensure an in-depth examination of the issue. The research design incorporates both normative/theoretical and empirical components.

Within the empirical component of the research, a semi-structured in-depth interview based on open-ended questions was conducted with an expert, Mr. Gogita Ghvedashvili, Deputy Director of the Strategy Development Center. During the interview, particular attention was

[1] Corresponding author.
E-mail addresses: sofiogabelaia@gmail.com (S.Gabelaia).
ORCID: https://orcid.org/0000-0002-0772-025X

given to the role of Georgia's sectoral policy in the process of obtaining European Union candidate status.

The findings of the research indicate that small states, such as Georgia, may not always attract significant attention from major or hegemonic states and/or international unions. However, strengthening foreign contacts at the sectoral level and participating in various formats of international events provide such countries with an important opportunity to demonstrate their potential, increase international visibility, and enhance their capabilities.

The presented study offers an opportunity to view sectoral policy from a new perspective, as a mechanism through which states can develop and deepen international relations at both the regional and global levels through the implementation of sectoral policies.

სექტორული პოლიტიკის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე (საქართველოს მაგალითზე)

სოფიო გაბელაია[a][2]

[a] საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების მართვის სამსახური

სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები:

სტრატეგია
ეროვნული ინტერესები
საერთაშორისო თანამშრომლობა
საქართველო
კატარი

აბსტრაქტი

სექტორული პოლიტიკა განიმარტება, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების და მართვის ფორმა, რომელიც გულისხმობს ეროვნული ინტერესების მიღწევას კონკრეტული მიმართულებით შემუშავებული სტრატეგიის გატარების გზით. სახელმწიფოები სექტორული პოლიტიკის დანერგვას და განვითარებას ხელს უწყობენ გლობალური კონკურენციისთვის გამკლავების მიზნით, რაც თავის მხრივ იწვევს ეკონომიკის მოდერნიზაციას— ინდუსტრიის განვითარებას, მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას, სახელმწიფო სერვისების დახვეწას, სამუშაო ადგილების ზრდას და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე მარტივია მისი ინტეგრირება სექტორულ პოლიტიკაში. უსაფრთხოება, ეკონომიკა, სამართალი, გარემოს დაცვა, განათლება, ეკოლოგია, რელიგია, კულტურა... ეს იმ სექტორების არასრული ჩამონათვალია, სადაც ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა გაითვალისწინოს საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკა, გამოცდილება და საჭიროებები სექტორული პოლიტიკის დაგეგმვისა და გატარების ეტაპზე. ასევე, გააღრმავოს თანამშრომლური ურთიერთობა დარგობრივ დონეზე და მოარგოს მართვის მოდელი არსებულ საუკეთესო პრაქტიკას (Best practice).

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მთავარი მიზანია გამოაჩინოს სექტორული პოლიტიკის გავლენა ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებზე, მთავარ კითხვებზე ამომწურავი პასუხის მიღების და საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც მოიცავს ნორმატიულ/თეორიულ და ემპირიულ ნაწილებს.

კვლევის ემპირიულ ნაწილში, ღია კითხვებზე დაყრდნობით, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ექსპერტთან და

[2] ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: sofiogabelaia@gmail.com (ს.გაბელაია).
ORCID: https://orcid.org/0000-0002-0772-025X

სტრატეგიის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილესთან ბატონ გოგიტა ღვედაშვილთან, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საქართველოს სახელმწიფოს სექტორული პოლიტიკის როლზე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესში.

კვლევის მიგნებები აჩვენებს, რომ პატარა სახელმწიფოები, ისეთი როგორიც საქართველოა, შესაძლოა არ იწვევდეს განსაკუთრებულ ინტერესს დიდ და ჰეგემონ სახელმწიფოებში ან/და გაერთიანებებში, თუმცა დარგობრივი მიმართულებით საგარეო კონტაქტების გაძლიერება, სხვადასხვა ფორმატის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა სწორედ ასეთი ქვეყნებისთვის არის პოტენციალის ჩვენების, ცნობადობის გაზრდის და შესაძლებლობების გაძლიერების ერთგვარი საშუალება.

წარმოდგენილი კვლევა იძლევა საშუალებას სექტორული პოლიტიკა დაგვანახოს ახლებური რაკურსით, როგორც სახელმწიფოთა შესაძლებლობა განავითარონ და გააღრმავონ საერთაშორისო ურთიერთობები რეგიონის და მსოფლიოს დონეზე სექტორული პოლიტიკის გავლით.

1. შესავალი

სახელმწიფოთა ინტერესები მათი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარია, თუმცა წარმატებული საშინაო პოლიტიკის წარმოების პარალელურად საგარეო ურთიერთობების გაძლიერება, საერთაშორისო გავლენების მოპოვება და თანამშრომლური ურთიერთობების გაღრმავება ყველა მათგანის ერთ-ერთი ფუნდამენტური მისწრაფებაა. განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები ხშირად უდგათ, კიდევ უფრო პრიორიტეტულია წარმატებული თანამშრომლური ურთიერთობების წარმოება და საკუთარი პოზიციის გაძლიერება რეგიონის და მსოფლიოს მასშტაბით.

სახელმწიფოს მართვა ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: საშინაო პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა. თუმცა, ერთი მეორესგან დამოუკიდებლად ვერ ფუნქციონირებს და ორივე ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს. რთული სათქმელია რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია ძლიერი სახელმწიფოს მოწყობისთვის. გავრცელებული აზრით, ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა: „პოლიტიკური მეცნიერების აქსიომაა, რომ საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა და უპირატესად მას ემსახურება. თუმცაღა, თანაფარდობა ამ ორ კომპონენტს შორის სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ ხასიათს ატარებდა და მრავალგვარი მიზეზით იყო განპირობებული“ (ანთაძე, 2025, გვ. 3).

საქართველოს სახელმწიფოში სექტორული პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით 2019 წელს მიღებულ იქნა მთავრობის N629 დადგენილება, რომელიც პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესს განსაზღვრავს და ერთგვარი ინსტრუქციაა თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული დონის კონცეფცია და მის საფუძველზე, სექტორული მიმართულებით, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები. აღნიშნული დადგენილების გამოყენება ხელს უწყობს ყოველი დარგის საჭიროებების გამოკვეთას და დროში გაწერილად განსაზღვრას, შესრულების ეტაპზე მონიტორინგის პროცესს, ხოლო დასრულების შემდგომ-შეფასებას. სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო აღნიშნული პრაქტიკა რამდენად უწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, ან რამდენად ხდება საგარეო ინტერესების გათვალისწინება სექტორულ დონეზე სტრატეგიაზე მუშაობის დროს.

საკვლევი კითხვა: როგორ და რა მექანიზმებით ახდენს გავლენას სექტორული პოლიტიკა სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე პოზიციონირების პროცესში (საქართველოს მაგალითზე)?

1.1. თემის აქტუალურობა

გლობალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პირობებში, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა სულ უფრო მეტად გამომდინარეობს შიდა სექტორული პოლიტიკიდან. ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ეკონომიკა, ვაჭრობა, ციფრული განვითარება, გარემოს დაცვა... აღნიშნული სექტორები არა მხოლოდ ქვეყნის შიდა განვითარების საფუძველს ქმნის, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის საერთაშორისო პოზიციონირებაზე, პარტნიორულ ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობაზე. შესაბამისად, თემის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ სექტორული პოლიტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ხარისხს, ინტეგრაციას და საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობას, ხოლო საქართველოს მაგალითი წარმოადგენს მნიშვნელოვან შემთხვევას აღნიშნული პროცესების სიღრმისეული ანალიზისთვის.

1.2. საკვლევი თემის მიზნები და ამოცანები

კვლევის მთავარი მიზანია გამოაჩინოს სექტორული პოლიტიკის როლი და გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე (საქართველოს მაგალითზე). კერძოდ, იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და გატარებული სექტორული პოლიტიკა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე, საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, ასევე მის ინტეგრაციაზე საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებში.

კვლევის ამოცანაა სექტორული პოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირის ანალიზი. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სახელმწიფოს მიერ წარმოებული სექტორული პოლიტიკის როლის განსაზღვრა ქვეყნის საერთაშორისო ინტეგრაციისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პროცესში.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევ თემაზე აკადემიური მასალა რთულად მოსაპოვებელია, ვინაიდან საკითხი ეხება სახელმწიფოს მართვის მიკრო დონეს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებზე, ერთი შეხედვით, ძირეულ გავლენას ვერ ახდენს, თუმცა კვლევის შედეგები მიგვანიშნებს, რომ მნიშვნელოვნად განაპირობებს მას.

სტირლინგის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის პროფესორი პოლ კერნი (Paul Cairney) თავის ნაშრომში „სექტორული პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც დაიბეჭდა 2021 წელს ძალიან საინტერესოდ და ამომწურავად აყალიბებს ანალიტიკურ ხედვებს სექტორული პოლიტიკის საჭიროების და ეფექტურობის შესახებ.

ასევე, საკვლევ თემასთან მიმართებით, მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელია გიზო ჭელიძის სასწავლო კურსი „საჯარო პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში“, რომელიც დეტალურად აყალიბებს როგორ მუშაობს სექტორული პოლიტიკა უშუალოდ საქართველოს მაგალითზე.

შედარებითი ანალიზისთვის, კატარის სახელმწიფოს გამოცდილების შესწავლის მიზნით, გამოყენებულ იქნა რატი კობახიძის აკადემიური ნაშრომი „კატარის საგარეო პოლიტიკა-პატარა სახელმწიფოს როლი რეგიონალურ პოლიტიკაში“, რომელმაც საინტერესო მინიშნებები მოგვცა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს არსებული პოტენციალი სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარების და გაძლიერების მიზნით.

3. მასალები და მეთოდები

საკვლევ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მიღების მიზნით თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ემპირიულ კონტექსტში, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სტრატეგიის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილესთან ბატონ გოგიტა ღვედაშვილთან. მის მიერ გაზიარებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საქართველოს სახელმწიფოს გამოცდილებას სექტორული პოლიტიკის როლზე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესში, პირდაპირ პასუხობს კვლევის მთავარ კითხვას.

ნორმატიულ კონტექსტში გაანალიზდა ზემოთ ხსენებული და სხვა აკადემიური ხასიათის მასალა და გაკეთდა მათი კონტენტ-ანალიზი. ასევე, შეირჩა, კვლევის ფარგლებში

განვითარებულ მსჯელობასთან ყველაზე ახლოს მდგომი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ერთ-ერთი წამყვანი თეორია- კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია.

3.1. თეორიული ჩარჩო

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არსებობს თეორიები, სადაც თეორეტიკოსები მოვლენების შეფასებას და განზოგადებას ცდილობენ სახელმწიფოთა კონკრეტული ქცევების საფუძველზე.

უშუალოდ სექტორული პოლიტიკის გავლენის ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობებზე ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, რომლებიც სახელმწიფოს ქცევას განიხილავს, როგორც შიდა და გარე ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს. კონკრეტულად, კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია (ფუძემდებლები- ამერიკელი მკვლევრები რობერტ კიოჰანე და ჯოზეფ ნაი) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური და სექტორული ფაქტორების როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში. (Keohane & Nye, 1987). აღნიშნული თეორიის მიხედვით, თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური საკითხებით, არამედ მოიცავს ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ თანამშრომლობას. შესაბამისად, სექტორული პოლიტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებაში.

სექტორული პოლიტიკის აკადემიურ ჭრილში ახსნას ცდილობს უსაფრთხოების კვლევის კოპენჰაგენის სკოლის (Copenhagen school of security studies) ერთ-ერთ დამფუძნებელი მამა ბარი ბუზანი, რომელმაც საკუთარ კვლევაში გამოყო უსაფრთხოების პოლიტიკის ხუთი ძირითადი მიმართულება და ამით ხაზი გაუსვა, რომ თუ კონკრეტული მიმართულების განვითარება სახელმწიფოს მიზანია, მეტი ეფექტურობისთვის ის უნდა მართოს სექტორულ დონეზე.

„უსაფრთხოების სექტორებად დაყოფაზე ფიქრი ცივი ომის ბოლო დეკადაში დაიწყო, როდესაც სამხედრო-პოლიტიკურ დღის წესრიგს ახალი საკითხები დაემატა. სწორედ ამ პერიოდში გამოყო ბუზანმა ხუთი წამყვანი მიმარულება:

- სამხედრო - დაინტერესებულია სახელმწიფოს თავდაცვითი და თავდასხმითი შესაძლებლობებით შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ასევე განიხილავს სახელმწიფოების მოსაზრებებს და მოლოდინებს ერთმანეთზე;
- პოლიტიკური - სახელმწიფოს ორგანიზაციული სტაბილურობა, სამთავრობო სისტემა და იდეოლოგია, რაც მათ ლეგიტიმურობას განსაზღვრავს;
- ეკონომიკა - წვდომა რესურსებზე, ფინანსებსა და ბაზარზე, რათა შეიანაჩუნონ/მიაღწიონ კეთილდღეობასა და სახელმწიფო ძალაუფლების მისაღებ დონეს;
- სოციალური - ენის ტრადიციული მანერა/ნიმუში, კულტურა, რელიგია, ეროვნული იდენტობა, ჩვეულება, ადათი;
- გარემო - ბიოსფეროს მხრადაჭერა, რაზეც ადამიანური საქმიანობის არაერთი ასპექტია დამოკიდებული“ (აკობია, ე; ტარასაშვილი, რ; კაკაშვილი, მ; მოსიძე, თ; თვალავაძე, ე, 2021, გვ. 84-85).

თეორია არის კონკრეტული საკითხის მიმართ დასაბუთებული მოსაზრება, მკვლევარის მიერ მსჯელობის ამგვარად განვითარება და კვლევითი დღის წერიგის ჩამოყალიბება კი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რომ პოლიტიკა რაც უფრო ვიწროდ არის დანახული, ჩაშლილი და მიმართულებებად დაყოფილი, მით მეტად შედეგის მომცემია. მეტად არის თითოეული მიმართულებით საჭიროებების დანახვის და გადაჭრის გზების გაანალიზების საშუალება.

4. შედეგების განხილვა

კვლევამ აჩვენა, რომ პატარა სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა, სექტორული მიმართულებებით აქტიური საგარეო თანამშრომლობა წარმოადგენს საერთაშორისო სისტემაში პოზიციონირების ეფექტურ მექანიზმს.

პატარა სახელმწიფოები იშვიათად განსაზღვრავენ გლობალურ დღის წესრიგს სამხედრო ან პოლიტიკური ძალით, თუმცა ენერგეტიკული დერეფნები, მისი სატრანზიტო ფუნქცია, ციფრული განვითარების მიმართულება, სავაჭრო ჰაბის დანიშნულება... აძლიერებს ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

სექტორული პოლიტიკა ამგვარად გარდაიქმნება „რბილი ძალის“ ინსტრუმენტად, რომელიც ზრდის ქვეყნის ცნობადობას, საინვესტიციო მიმზიდველობასა და პარტნიორული ქსელების გაფართოების შესაძლებლობას.

4.1. სექტორული პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

4.1.1. სექტორული პოლიტიკის მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვის პროცესში

სექტორული პოლიტიკა ჰორიზონტალური პოლიტიკისგან განსხვავებით ჩაკონკრეტებულ მმართველობას გულისხმობს. მაგალითად, თუ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია

ეკონომიკური სექტორი ჰორიზონტალური მმართველობის შემთხვევაში მის ზოგად განვითარებაზეა ორიენტირებული, ხოლო სექტორული პრინციპით მართვის შემთხვევაში ის ჩართულია კონკრეტული მიმართულებების, მაგალითად: ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, სამთო-მოპოვების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და.ა.შ. განვითარების პროცესში.

სექტორული პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- სექტორის სტრატეგიული მხარდაჭერა;
- კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- ინოვაციების წახალისება;
- რეგიონული ან სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

„სექტორული სტრატეგია ემსახურება ცალკეული სფეროების განვითარებას და საზოგადოებრივი სერვისებისა და პროდუქტების მიწოდების გაუმჯობესებას და მოიცავს სიტუაციის ანალიზს, ხედვას, მიზნებს, ამოცანებს, მათ მოსალოდნელ შედეგებსა და შესრულების ინდიკატორებს (ლოგიკური ჩარჩო), განხორციელების მექანიზმებსა და ინფორმაციას, თუ როგორ მოხდება ამ სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიის დოკუმენტების ხანგრძლივობა განისაზღვრება პრობლემის მახასიათებლებიდან გამომდინარე.

არსებობს ასევე მულტისექტორული სტრატეგია, რომელიც კიდევ უფრო ვიწროდ ითვალისწინებს დარგის განვითარების ეტაპებს.დოკუმენტი“... (ჭელიძე, 2017, გვ. 90)

ბუნებრივია, ყველა სექტორული მიმართულებით არსებობს საერთაშორისო ცოდნები, სტანდარტები, გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. შესაბამისად, დარგის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის მომენტიდან ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო მოთხოვნების და გამოცდილების გათვალისწინება.

4.1.2. საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვის პროცესში

საერთაშორისო სივრცე რა შეიძლება იყოს თუ არა სახელმწიფოების ერთობლიობა და მათი ურთიერთზემოქმედების მექანიზმი. შესაბამისად, საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგი მომდინარეობს სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობებიდან. ამასთან აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მხოლოდ სახელმწიფოები არ არიან პროცესის მოთამაშეები, არამედ გაიზარდა ალიანსების, კავშირების, გაერთიანებებისა თუ ორგანიზაციების როლი. შესაბამისად, დიდია მათი გავლენაც მსოფლიო მასშტაბით არსებულ დღის წესრიგში, როგორც ზოგადი, ასევე სექტორული პოლიტიკის მიმართულებით.

განვითარებადი სახელმწიფოები კიდევ უფრო მეტად ცდილობენ ჰყავდეთ ძლიერი მოკავშირეები თანამოაზრე სახელმწიფოების ან გაერთიანებების/ორგანიზაციების სახით. სექტორული პოლიტიკის წარმოების პროცესში სახელმწიფოებს აქვთ საერთაშორისო კონვენციებზე მიერთების, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირების, სხვადასხვა ტიპის გაერთიანებებში გაწევრიანების, გარკვეული ვალდებულებების აღების, თანამშრომლური ურთიერთობების წარმოების და საერთო პროექტების ირგვლივ გაერთიანების პრაქტიკა. განვითარებადი სახელმწიფოების შემთხვევაში, აღნიშნული პროცესის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რეკომენდაციების გათვალისწინება და კონტაქტების გაღრმავება. ეს თავის მხრივ გულისხმობს სექტორის გაძლიერებას, არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ რეგიონის ან საერთაშორისო სივრცის მასშტაბით.

სექტორული პოლიტიკის რეგიონალურ დონეზე განვითარება, მეზობელ სახელმწიფოებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოკავშირეობა გულისხმობს ინდუსტრიის სფეროში კონკურენტუნარიანობის გაზრდას, გეოპოლიტიკური შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენას და საერთაშორისო აქტორების რეგიონით დაინტერესებას, რაც თავის მხრივ სხვადასხვა პროექტში დონორთა მოძიების და ეკონომიკურად გაძლიერების შესაძლებლობაა. ამდენად, ყველა ტიპის სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია სექტორულ დონეზე პარქტნიორული ურთიერთობების გაძლიერება.

4.1.3. სექტორული პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი სექტორული პოლიტიკის წარმოების პროცესში ჩართულია დარგის სპეციალისტთა გუნდი, რომლებიც განაწილებულნი არიან თავიანთი კომპეტენციის მიხედვით. თითოეულ მათგანს პროფესიული ხედვა, გამოცდილება, კონტაქტები და რეაგირების თავისებური მიდგომა აქვს. აღნიშნული პრაქტიკა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც დარგობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და გატარების პროცესში ჩართული არიან ამავე დარგის სპეციალისტები. მაგალითად, ეკონომიკის სექტორის ერთ-ერთი მსხვილი მიმართულების სამთო-მოპოვების განვითარების სტრატეგიის შემუშავების და განხორციელებისთვის არ არის საკმარისი ეკონომიკური ან ფინანსური განათლების მქონე პირის ხედვა, არამედ გეოლოგები, შესაბამისი ექსპერტები, თეორიული ცოდნის მქონე და დარგის საჭიროებებში ჩახედული პირები უნდა გეგმავდნენ და აკვირდებიდნენ სექტორის განვითარების პროცესს.

სექტორული პოლიტიკა გამომდინარეობს და ეხმიანება გრძელვადიან ეროვნული დონის დოკუმენტს, რომლის ცვლილების შესაძლებლობა შეზღუდულია მთავრობათა ცვლის სიხშირით, როგორც ეს მიღებული იყო დიდ ბრიტანეთში: „დიდ ბრიტანეთში

ხელისუფლება ყოველ ოთხ წელიწადში იცვლებოდა ლეიბორისტებსა და კონსერვატორებს შორის ძალაუფლების მონაცვლეობით, შეჯიბრებით და მაჟორიტარული ტრადიციების გაძლიერების მიდრეკილებით. შედეგად კი ახალმოსული ხელისუფლება ცდილობდა ძველის პოლიტიკური ხედვები შეეცვალა და ეროვნული პრიორიტეტები გადაეფასებინა თავიდან (Cairney, 2021). ბუნებრივია ეს პროცესი იწვევდა ქაოსს და არასტაბილურობას.

საერთაშორისო ურთიერთობების სექტორულ დონეზე მართვის გამოწვევად შეიძლება მოვიაზროთ უწყებებს შორის კომპეტენციის გადაფარვა და კორელაციის ნაკლებობა. თუმცა ამგვარი მიდგომა ნებისმიერ შემთხვევაში მაინც გამართლებულია, ვინაიდან საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, დიალოგის წარმოება, საკანონმდებლო ჰარმონიზაციის განვითარება და ამგვარად შესაძლებლობების გაძლერება ყოველთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე ყველაფრის თავმოყრა ერთ კონკრეტულ (მაგალითად: საგარეო საქმეთა სამინისტრო) უწყებაში. სახელმწიფო უწყებებს ყველა დონეზე უნდა ჰქონდეს რესურსი და პოტენციალი სექტორული რეფორმების ფარგლებში, შესაბამისი კოორდინაციის დაცვით აწარმოოს საერთაშორისო თანამშრომლობა.

4.2. საქართველოს სახელმწიფოს სექტორული პოლიტიკა

4.2.1. ეროვნული ინტერესების განსაზღვრა

არაერთი კვლევის საგანია, მსოფლიოს მასშტაბით, სახელმწიფოთა განსხვავებული მმართველობის სტილი, მათ წინაშე არსებული გამოწვევების ან/და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლის მეშვეობითაც ისინი ეწევიან პოლიტიკურ საქმიანობას და იცავენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ. სწორედ, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და ღირებულებებიდან უნდა გამომდინარეობდეს მისი სექტორული განვითარების პოლიტიკაც, სადაც სახელმწიფოს პოტენციალი მაქსიმალურად სწორად არის ათვისებული და საერთაშორისო მოკავშირეებისთვის მიწოდებული.

ეროვნული ინტერესების განსაზღვრა საკმაოდ სენსიტიური საკითხია. საქართველოს შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა/შენარჩუნება მისი სუვერენული უფლებაა, ნატოში გაწევრიანება უსაფრთხოების საკითხს წარმოადგენს, ევროკავშირში გაწევრიანების ინიციატივა საერთაშორისო სტანდარტებზე მაქსიმალურად მიახლოების საშუალებაა, ხოლო ენერგო, სავაჭრო და სატრანზიტო დერეფნების გამართვა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს, ეს ყველაფერი მთლიანობაში კი მის ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს (გაბელაია, ს, 2023).

სექტორული პოლიტიკა სწორედ ეროვნული ინტერესების აღსრულებას ემსახურება და გარდა ეროვნული განვითარების ჩარჩო სტრატეგიისა, ემყარება ასევე დარგობრივ სტრატეგიებს, რომელსაც შეიმუშავებს კონკრეტულ დარგში მოღვაწე სამთავრობო

სტრუქტურები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით. განათლების რეფორმა, ჯანდაცვის რეფორმა, სასამართლო რეფორმა, საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები... ემსახურება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, რომელიც ტარდება სექტორული პოლიტიკის მეშვეობით.

4.2.2. საქართველოს სექტორული პოლიტიკის მოდელი

საქართველოში სექტორული პოლიტიკის გაძლიერების მიზნით მიღებულ იქნა N629 დადგენილება, რომელიც აყალიბებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სისტემას და ქმნის მის სტრუქტურულ ჩარჩოს. აღნიშნული ფორმატი:

- აძლიერებს კოორდინაციას უწყებებს შორის;
- უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულებების ჰარმონიზაციას;
- ზრდის რეფორმების გამჭვირვალობას;
- ამარტივებს საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან პროგრესის შეფასებას.

„ეროვნული განვითარების სტრატეგიას უნდა ეყრდნობოდეს და მისგან გამომდინარეობდეს მთავრობის პროგრამა და სექტორული პოლიტიკის დოკუმენტები. დოკუმენტის შედგენა, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტების ჩართულობას, დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ინტერესების გათვალისწინებასა და საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას“ (ჭელიძე, 2017, გვ. 88-89). ეს მთლიანი მთავრობის ერთიანი მუშაობის შედეგი უნდა იყოს და მოიცავდეს ქვეყნის შემდგომი განვითარების ზოგად ჩარჩოს. მას, როგორც წესი, შეიმუშავებს მთავრობა ქვეყანაში მოქმედ ინტერესთა ჯგუფებთან და საერთაშორისო დონორებთან კონსულტაციით.

საქართველოს პოლიტიკა ძირითადად დაფუძნებულია მდგრადობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამების გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს განვითარების სტრატეგია ხედვა 2030, საიდანაც გამომდინარეობს სექტორული სტრატეგიები (მაგ: განათლება, ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა). სექტორული სტრატეგიები და ხედვები (მაგ: მთავრობის პროგრამა 2025–2028) მოიცავენ სამოქმედო გეგმებს, რომელიც კიდევ უფრო დაწვრილებით ასახავენ პროცესს. აღნიშნული პროცესის კოორდინაციას ახდენს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელიც სხვადასხვა სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების ჰარმონიზაციას, ამ დოკუმენტების მთავრობის საერთო პრიორიტეტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის მეთოდოლოგიურ ზედამხედველობას ახორციელებს.

„სექტორული პოლიტიკის დაგეგმვა უნდა წარიმართოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მათგან გამომდინარე ვალდებულებების გათვალისწინებით. კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია და უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამ მხრივ, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც ყოვლისმომცველი დოკუმენტია და აწესებს კონკრეტულ ვალდებულებებს სექტორული მიმართულებებით“ (ჭელიძე, 2017, გვ. 89). შეიძლება ითქვას რომ მისი ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ურთიერთშესაბამისობის და ჰარმონიზაციის მიღწევა.

4.2.3. სექტორული პოლიტიკის როლი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში

სექტორული პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პროცესში, ვინაიდან დღევანდელი ტენდენციით საგარეო პოლიტიკა გაცდა ერთი უწყების პრეროგატივას და კომპლექსური ხასიათი შეიძინა.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პროცესში სექტორული პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობაზე მეტყველებს ევროკავშირის მიერ წარდგენილ რეკომენდაციებს შორის აქცენტები სექტორული პოლიტიკის მიმართულებით. აღნიშნულ ფორმატში ჩვენ ვხვდებით როგორც ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებს: პოლიტიკური პოლარიზაციის რეგულირების, ანტიკორუფციული, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თუ სასამართლო რეფორმების სახით, ასევე კონკრეტული სექტორული მიმართულებით: სოფლის მეურნეობა, ირიგაცია, სამთო-მოპოვება, შრომის უსაფრთხოება და სხვა.

საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან აღებული ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობა, სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით, დაახლოებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ სწორედ სექტორულ განვითარებაზე იყო დამოკიდებული მიმდინარე პროცესი.

„არც ის იყო შემთხვევითი, რომ 2014-2107 წლებში შემოტანილი ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს ფარგლებში დაგეგმილი 410 მილიონამდე ევროს ოდენობის დახმარება სამ პრიორიტეტულ სექტორზე რომ გადანაწილდა: - სახელმწიფო მართვის რეფორმა - სოფლის მეურნეობის და სოფლის რეგიონების განვითარება - მართლმსაჯულების სექტორის რეფორმა აღნიშნულ სექტორებში დახმარება უკავშირდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებას. დამატებით

პრიორიტეტს წარმოადგენს საჯარო ინსტიტუტების მოდერნიზაცია და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა“ (გოგოლაშვილი. კ, 2017, გვ. 57).

სტრატეგიის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე ბატონი გოგიტა ღვედაშვილი პირადი ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნავს (მარტი, 2025): „ასოცირების ხელშეკრულებაზე მუშაობის პროცესში სექტორულ პოლიტიკას გადამწყვეტი როლი ჰქონდა. თუ განვიხილავთ პირველ ეტაპზე თორმეტ, ხოლო შემდეგ ცხრა პუნქტიან რეკომენდაციებს, დავრწმუნდებით, რომ ყველა მოცემული რეკომენდაცია სექტორული ხასიათის იყო და იძლეოდა „more for more” პრინციპის ფარგლებში მეტი ინტეგრაციის, მეტი რეფორმების, მეტი მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, იმის გამო რომ ქართულმა მხარემ არ მოინდომა პროცესის გაგრძელება, მიგვიყვანა იქამდე რომ კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ ეტაპზე, მოლაპარაკებების ფორმატზე გადასვლა ვერ შევძელით“.

კვლევის ფარგლებში განხორციელებული თეორიული ანალიზისა და ემპირიული მასალის საფუძველზე გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება, რომელიც აჩვენებს, რომ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სექტორულ რეფორმებს ჰქონდა. ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირის რეკომენდაციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოთხოვნები ძირითადად სექტორულ მიმართულებებს შეეხებოდა (სასამართლო რეფორმა, სოფლის მეურნეობა, შრომის უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, ანტიკორუფციული პოლიტიკა და სხვ.).ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული „more for more“ პრინციპი ეფუძნება სექტორული პროგრესის შეფასებას. შესაბამისად, საერთაშორისო ინტეგრაციის დინამიკა უშუალოდ დამოკიდებულია სექტორული პოლიტიკის ეფექტიანობაზე.

4.3. კატარის სახელმწიფოს მაგალითი

2021 წლამდე კატარის სახელმწიფო ოფიციალურ ბლოკადაში იმყოფებოდა, მეზობელი ქვეყანა – საუდის არაბეთი და მისი მოკავშირე სახელმწიფოები დიპლომატიურ და სავაჭრო ბოიკოტს უწყობდნენ მას. თუმცა, კატარის სახელმწიფომ „რბილი ძალის“ მეთოდებით, ფინანსური რესურსების და დიპლომატიური მოქნილობის გამოყენებით, გადარჩენა მოახერხა.

ბლოკადის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც კატარის სახელმწიფომ განავითარა და ამ მხრივ შევიდა თანამშრომლურ ურთიერთობაში ისეთ ძლიერ ქვეყანასთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, არის ენერგეტიკის სექტორი. დღევანდელი მდგომარეობით მათ მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვთ

დაბანდებული ენერგო-სექტორში, რაც თავისთავად გულისხმობს აშშ-ის ეკონომიკურ ინტერესს და თანამშრომლობას კატარის სახელმწიფოსთან.

კატარის ენერგო–სამსახურსა და აშშ–ს United States Department of Energy-ს (DOE) შორის 2018 წელს ენერგო-თანამშრომლობის სფეროში მთავარი მემორანდუმი (MOU) გაფორმდა, რომელიც სტრატეგიულ კოლაბორაციას გულისხმობს, არამხოლოდ ენერგეტიკულ სფეროში, არამედ ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გაზრდის თვალსაზრისით. მემორანდუმის მთავარი მიზანია, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ბუნებრივი აირის და ნავთობქიმიური სექტორის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება, რაც ორივე ქვეყნისთვის ინვესტიციების მოზიდვის და სტრატეგიული ინტერესების გაერთიანების საშუალებაა.

„მსოფლიოში არსებობს სხვა პატარა სახელმწიფოებიც, რომლებმაც აქტიური ბრენდინგის კამპანიები თავიანთ საგარეო პოლიტიკაში გამოიყენეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან მსოფლიოს ენერგეტიკური სექტორის ან ფინანსური ბაზრების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები. მაგალითად, ესტონეთი ცნობილია თავისი ტექნოლოგიური წიაღსვლებითა და ბიზნესისადმი მეგობრული გარემოთი, რასაც აქტიურად იყენებს საერთაშორისო მიზიდულობისა და რეპუტაციის მისაღებად“ (კობახიძე, რ, 2021, გვ. 24)

5. დასკვნა და მიგნებები

საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე გლობალური პროცესები გარდაუვალი და შეუკავებელია, ნებისმიერი განვითარების სახელმწიფოს აქვს სწრაფვა აყვეს საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა ზოგადი მიზნები რთული დასამენეჯმენტებელია, ასევე რთულია პროცესის მონიტორინგი. შესაბამისად, რაც მეტად დავიწროებულია ხედვა, დროში გაწერილია სტრატეგია და დაკონკრეტებულია სამოქმედო გეგმა, მით მეტად ეფექტურია მართვის და მონიტორინგის პროცესი.

რამდენად დამოუკიდებელი, ძლიერი და თვითმყოფადიც არ უნდა იყოს სახელმწიფო, მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საერთაშორისო პარტნიორობა და საგარეო ურთიერთობები. სექტორული პოლიტიკა კი ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების გაძლიერებას ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, კონკრეტული ამოცანის ირგვლივ.

სექტორული პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის ძლიერი მექანიზმია, იმის გათვალისწინებით რომ ყველა მიმართულებას გააჩნია დროში გაწერილი სტრატეგია და არ არის დამოკიდებული ხელისუფლების ცვლილებაზე. დარგის განვითარების ხედვა გამომდინარეობს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებიდან და არ იცვლება მმართველი

გუნდის გემოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სექტორული პოლიტიკა არის მდგრადი და თანმიმდევრული ხასიათის მატარებელი.

ორი სხვადასხვა მოწყობის სახელმწიფო შესაძლოა არ იყოს პარტნიორულ ურთიერთობაში, თუმცა აერთიანებდეს საერთო მიზნები და ხედვები კონკრეტული სექტორის ირგვლივ. ასეთ შემთხვევაში სექტორული პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერების საშუალებაა.

სექტორული სტრატეგიების არსებობა ზრდის პროგნოზირებადობას, უზრუნველყოფს პოლიტიკის უწყვეტობას, ამცირებს პოლიტიკურ ცვალებადობაზე დამოკიდებულებას, აძლიერებს სახელმწიფოს სანდოობას საერთაშორისო პარტნიორების თვალში. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების ხარისხი პირდაპირ კავშირშია შიდა სექტორული რეფორმების პროგრესთან.

ამგვარად, სექტორული პოლიტიკა ქმნის შიდა ინსტიტუციურ სტაბილურობას, რაც საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობის წინაპირობაა. ამდენად, სექტორული პოლიტიკა გამართლებულია, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობების მართვის პროცესში.

ბიბლიოგრაფია

1. აკობია, ე., თვალავაძე, რ., ტარასაშვილი, მ., კაკაშვილი, ლ., & მოსიძე, თ. (2021) *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები, ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი.*
2. ანთაძე, გ. (2025). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა და საქართველო თანამედროვე გეოპოლიტიკის კონტექსტში.* სოციალური სამართლიანობის ცენტრი.
3. გაბელაია, ს. (2023). *პატარა ქვეყნის საგარეო ორიენტაციის პრობლემა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში (საქართველოს მაგალითზე).* საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტი.
4. გოგოლაშვილი, კ. (2017). *საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები.* საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი (GCSD).
5. კობახიძე, რ. (2021). *კატარის საგარეო პოლიტიკა: პატარა სახელმწიფოს როლი რეგიონალურ პოლიტიკაში.* თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.
6. ჭელიძე, გ. (2017). *საჯარო პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში* (სასწავლო კურსი).
7. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. (2019). *პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო (დადგენილება N629)*
8. European Commission. (1995). *White Paper: Preparation of the Associated Countries of Central and Eastern Europe for Itegration into the Internal Market of the Union* (COM(95) 163 final).
9. Cairney, P. (2021). *The concept of a sectoral policy style,r Sectoral policy styles: Concepts and cases.*
10. European Commission. (n.d) *European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations: Chapters of the Acquis.*
11. Keohane, R. O., & Nye, J.S. (1987). *Power and Interdependence Revisited. International Organization.*
12. European Commission. (2003) *Summary of the treaty of Nice* (MEMO/03/23)